



თავისუფალი დემოკრატები

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„თავისუფალი დემოკრატები“

წესდება

(კონსოლიდირებული ვერსია)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“ წესდება

თავი I - ზოგადი დებულებანი

- 1.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“ ინგლისურ ენაზე - „Free Democrats“, (შემდგომში „პარტია“) არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც აღიარებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, დემოკრატიულ ფასეულობებს, ემსახურება საქართველოს მოქალაქეთა ნების გამოხატვას და სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და სოციალურ-კულტურული ინტერესების გათვალისწინებით, იცავს და ამკვიდრებს ლიბერალური დემოკრატიის, ეროვნული თვითმყოფადობის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის პრინციპებს.
- 1.2. პარტია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და პარტიის ხელმძღვანელი პირებისა და ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.
- 1.3. პარტიის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- 1.4. პარტიის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:
 - 1.4.1. პარტიაში გაწევრიანებისა და პარტიიდან გასვლის ნებაყოფლობითობა;
 - 1.4.2. არჩევითობა და ანგარიშვალდებულება;
 - 1.4.3. პარტიის საქმიანობის საჯაროობა;
- 1.5. პარტია წარმოადგენს არასამეწარმეო იურიდიულ პირს. მას აქვს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში. პარტიას შეიძლება ჰქონდეს ბეჭედი. პარტია უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.
- 1.6. პარტიის ლოგო გრაფიკული სიმბოლიკის მთავარი ელემენტია, რაც იოლად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. პარტიის ლოგო წარმოადგენს კომბინირებულ სიმბოლოს, რომელშიც ერთდროულად სიტყვიერი და გამომსახველობითი ელემენტები გამოიყენება. პარტიის ლოგო შედგება ორი ნაწილისაგან - სიმბოლოსა და ასოების კომბინაციისაგან. სიმბოლო წარმოადგენს პროფილში გამოსახულ სტილიზებულ მითიურ ქმნილებას „გრიფონს“. ჰერალდიკაში გრიფონი განასახიერებს სისწრაფეს, გამჭრიახობას, სიბრძნეს, ძლევამოსილებას და ძალაუფლებას. ქრისტიანულ სამყაროში გრიფონი აღდგომის სიმბოლოა, საქართველოში ეს სიმბოლო გვხვდება, როგორც ხუროთმოძღვრებაში ისე სხვადასხვა კულტურულ წყაროებში. ლოგოზე გრიფონს მზერა მარჯვნივ აქვს მიმართული, წარწერისაკენ „თავისუფალი დემოკრატები“. ასოების მოხაზულობა გროტესკის სტილშია შესრულებული და სპეციალურად არის შექმნილი კონკრეტული ბრენდისათვის. პარტიის ლოგოს მეორე ელემენტი - სიტყვები, განლაგებულია ერთმანეთის პარალელურად, ჰორიზონტალური წყობით, სადაც სიტყვა „თავისუფალი“ განლაგებულია „დემოკრატების“ თავზე. ლოგო გადაწყვეტილია ორ ფერში - მუქ ლურჯსა და კაშკაშა წითელში, ფონად გამოყენებულია თეთრი ფერი. ლოგოტიპი არსებობს და გამოიყენება ორ ენაზე, ქართულად როგორც - „თავისუფალი დემოკრატები“ და ინგლისურად როგორც - „Free Democrats“. პარტიის ლოგოს ძირითადი ფერები განსაზღვრულია შემდეგი

მოცემულობით: 1. FD – Blue: Pantone 287 C CMYK 100.75.2.18 RGB 0.48.135 ORACAL 057 2. FD – Red: Pantone 185 C CMYK 0.100.100.4 RGB 227.0.26 ORACAL 032.

- 1.7. პარტიის იურიდიული მისამართია: **მ. ზადნუკელის ქ. #7, (ს/ი 0108)**, თბილისი, საქართველო.

თავი II - პარტიის ძირითადი მიზნები და მათი განხორციელების ფორმები

- 2.1. პარტიის ძირითადი მიზნებია:
- 2.1.1. ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე დაყრდნობით, ისტორიულ-კულტურული ღირებულებებისა და ეროვნული თვითმყოფადობის თავისებურებების გათვალისწინებით, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება;
 - 2.1.2. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება, უზრუნველყოფა და შენარჩუნება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, განმტკიცება, უზრუნველყოფა და შენარჩუნება, ეროვნული თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების სისტემების დანერგვა, განვითარება და გაძლიერება;
 - 2.1.3. სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კონცეფციის შემუშავება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო პროგრესის მისაღწევად ისეთი სისტემური პოლიტიკის დანერგვა, რომელიც გაითვალისწინებს ადამიანთა თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს;
 - 2.1.4. დასავლურ ეკონომიკური და უსაფრთხოების სისტემებში საქართველოს ინტეგრაცია;
 - 2.1.5. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, პიროვნების თვითრეალიზაციისთვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარანტიების ჩამოყალიბება;
 - 2.1.6. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ეკონომიკურ-სოციალური პოლიტიკის შემუშავება და მოქალაქეების სოციალური დაცვის მყარი გარანტიების შექმნა.
 - 2.1.7. საქართველოში ადამიანის პირადი, ქონებრივი და პოლიტიკური უფლებების რეალიზაციისათვის სათანადო სამართლებრივი და სოციალური გარემოს ჩამოყალიბება;
 - 2.1.8. დემოკრატიული თვითმმართველობისა და თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო სისტემების შექმნა;
 - 2.1.9. ხელისუფლების საქმიანობაზე ეფექტიანი საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების არსებობისათვის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა;
 - 2.1.10. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დემოკრატიული პრინციპების დანერგვის და ტრანსპარენტული სისტემების შექმნისა და უზრუნველყოფის მიზნით;
- 2.2. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პარტია იყენებს ყველა კანონიერ გზას, ფორმასა და საშუალებას.

თავი III - წევრობა

- 3.1. პარტიის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც ეთანხმება პარტიის წესდებას, იზიარებს პარტიის მიზნებს, მათი განხორციელების ფორმებს და იხდის საწევრო შენატანს.

- 3.2. პარტიის წევრად მიღება ხდება ნებაყოფლობით, მოქალაქის განცხადების საფუძველზე წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 3.3. პარტიის წევრთა საწევრო შენატანის ოდენობას ადგენს პარტიის გამგეობა.
- 3.4. პარტიის წევრთა აღრიცხვის წესს და საწევრო შენატანის გადახდის ვადებს ადგენს პარტიის გამგეობა.
- 3.5. მოქალაქის პარტიაში გაწევრიანებისთვის აუცილებელია პარტიის გამგეობისან პოლიტ საბჭოს ერთი წევრის ან პარტიის არანაკლებ ორი წევრის წერილობითი რეკომენდაცია.
- 3.6. პარტიის წევრად მიღების შესახებ განცხადება წარედგინება პარტიის ცენტრალური ან რაიონული ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.
- 3.7. პარტიის წევრობიდან გასვლა ნებაყოფლობითია.
- 3.8. პარტიის წევრი უფლებამოსილია:
 - 3.8.1. მიიღოს მონაწილეობა პარტიის მიზნების განხორციელებაში;
 - 3.8.2. აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში;
 - 3.8.3. წერილობითი განცხადების საფუძველზე გავიდეს პარტიიდან;
- 3.9. პარტიის წევრი ვალდებულია:
 - 3.9.1. დაიცვას პარტიის წესდება;
 - 3.9.2. მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობაში;
 - 3.9.3. შეასრულოს პარტიის შესაბამისი ხელმძღვანელი პირებისა და ორგანოების გადაწყვეტილებები;
 - 3.9.4. საკუთარი ქმედებით არ დაუშვას პარტიის კურსისა და მიზნების დისკრედიტაცია;
 - 3.9.5. მონაწილეობა მიიღოს პარტიის საარჩევნო კამპანიაში;
 - 3.9.6. დადგენილი წესის შესაბამისად გადაიხადოს საწევრო შენატანი.
- 3.10. წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პარტიის წევრს შეიძლება დაეკისროს შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა:
 - 3.10.1. გაფრთხილება;
 - 3.10.2. პარტიის წევრობის შეჩერება;
 - 3.10.3. პარტიიდან გარიცხვა.
- 3.11. პარტიის წევრის მიმართ გაფრთხილების სახით დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტიის გამგეობა ან პარტიის შესაბამისი (რეგიონალური, საქალაქო, რაიონული/მუნიციპალური, ქალთა, ახალგაზრდული) ორგანიზაცია, ხოლო პარტიის წევრობის შეჩერებისა და პარტიიდან გარიცხვის გადაწყვეტილებას - შესაბამისი ორგანიზაციის წარდგენების საფუძველზე, პარტიის გამგეობა. პარტიის წევრის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული.
- 3.12. პარტიას შესაძლებელია ჰყავდეს მხარდამჭერი, რომელიც არ წარმოადგენს პარტიის წევრს.

თავი IV - სტრუქტურა

- 4.1. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოა - პარტიის ყრილობა. პარტიის აღმასრულებელი ორგანოებია: პარტიის გამგეობა და პარტიის სამდივნო. პარტიის სათათბირო ორგანოა - პარტიის პოლიტიკური საბჭო. პარტიის მაკონტროლებელი ორგანოა - პარტიის სარევიზიო კომისია.
- 4.2. პარტიის სტრუქტურაში შეიძლება შეიქმნას შიდა სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათ შორის - პარტიის რეგიონალური, საქალაქო, რაიონული,

მუნიციპალური, ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციები. ამგვარი ორგანიზაციის დებულებას ამტკიცებს გამგეობა.

თავი V- პარტიის ყრილობა

- 5.1. პარტიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა - პარტიის ყრილობა (შემდგომში - ყრილობა).
- 5.2. ყრილობას იწვევს პარტიის თავმჯდომარე და ის ტარდება ოთხ (4) წელიწადში ერთხელ. ყრილობა უნდა ჩატარდეს მოწვევიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
- 5.3. ყრილობის დელეგატების არჩევისა და ყრილობაზე ასარჩევ თანამდებობებზე კანდიდატა დასახელების წესებს განსაზღვრავს პარტიის გამგეობა.
- 5.4. ყრილობის ჩატარების თარიღს და დღის წესრიგს განსაზღვრავს გამგეობა, რაც ყრილობის დაწყებამდე არაუგვიანეს სამი (3) კვირისა ეცნობება პარტიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.
- 5.5. პარტიის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობაც. პარტიის თავმჯდომარის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში, ახალი თავმჯდომარის არჩევის მიზნით, პარტიის რიგგარეშე ყრილობას იწვევს პარტიის გამგეობა, წინამდებარე წესდების 7.4. პუნქტით დადგენილი წესით. გამგეობის მიერ რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა და ტარდება წინამდებარე წესდების V (მეხუთე) თავით გათვალისწინებული წესით, გარდა რიგგარეშე ყრილობასთან დაკავშირებით წესდებით გათვალისწინებული განსხვავებებისა.
- 5.6. ყრილობა გადაწყვეტილება უნარიანია თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი.
- 5.7. ყრილობაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე დელეგატთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 5.8. ყრილობის უფლებამოსილებას განეკუთვნება:
 - 5.8.1. პარტიის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დამსწრე დელეგატთა 2/3 -ით;
 - 5.8.2. პარტიის თავმჯდომარის არჩევა, დამსწრე დელეგატთა 2/3 - ით;
 - 5.8.3. პარტიის გამგეობის წევრის/წევრების, სარევიზიო კომისიის წევრის/წევრების არჩევა;
 - 5.8.4. პარტიის ყრილობის დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
 - 5.8.5. პარტიის რეორგანიზაციისა და/ან ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა, დამსწრე დელეგატთა 3/4-ით;
 - 5.8.6. გამგეობის მიერ მოწვეული რიგგარეშე ყრილობის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის/საკითხების განხილვა - გადაწყვეტა;
 - 5.8.7. გადაწყვეტილებების მიღება ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნება.
- 5.9. ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად პარტიის ყველა ხელმძღვანელი პირის, ორგანოს, სტრუქტურული ქვედანაყოფისა და წევრისათვის.

თავი VI- პარტიის გამგეობა

- 6.1. პარტიის აღმასრულებელი ორგანოა პარტიის გამგეობა (შემდგომში - გამგეობა), რომელსაც 4 (ოთხი) წლის ვადით ირჩევს ყრილობა. ყრილობებს შორის პერიოდში გამგეობა უფლებამოსილია, პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით და გამგეობის წევრების ხმათა უმრავლესობით, დასვას საკითხი ყრილობაზე გამგეობის ახალი წევრის (წევრების) არჩევის თაობაზე, რომელთა რაოდენობა ნაკლების უნდა იყოს

ყრილობის მიერ არჩეულ გამგეობის წევრთა რაოდენობაზე. გამგეობა წარმართავს პარტიის მიმდინარე საქმიანობას.

- 6.2. გამგეობის შემადგენლობაში შედის და მას ხელმძღვანელობს პარტიის თავმჯდომარე.
- 6.3. გამგეობა თავისი შემადგენლობიდან, ხმათა უმრავლესობით, პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით, 4 (ოთხი) წლის ვადით, ირჩევს პარტიის გენერალურ, პოლიტიკურ, საგარეო და აღმასრულებელ მდივნებს და ხაზინადარს.
- 6.4. გამგეობის სხდომა იმართება არანაკლებ 3 (სამ) თვეში ერთხელ. გამგეობის სხდომას იწვევს პარტიის თავმჯდომარე ან გამგეობის წევრთა 1/3, მოწვევის თარიღამდე სულ ცოტა 3(სამი) დღით ადრე, გამგეობის წევრების ზეპირი, წერილობითი, ელექტრონული და/ან სატელეფონო შეტყობინების გზით. გამგეობის სხდომის დღის წესრიგს ადგენს პარტიის თავმჯდომარე ან გამგეობის წევრთა 1/3. გამგეობის წევრთა 1/3 - ის მიერ მოწვეული სხდომის ჩატარება შესაძლებელია პარტიის თავმჯდომარის მონაწილეობით ან მისი თანხმობით.
- 6.5. გამგეობა გადაწყვეტილება უნარიანია თუ მის სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.
- 6.6. გამგეობის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. გამგეობის გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის სხდომაში მონაწილე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, პარტიის თავმჯდომარე სარგებლობს გადაწყვეტი ხმის უფლებით.
- 6.7. გამგეობა უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს (გადაირჩიოს) პარტიის გენერალური, საგარეო, აღმასრულებელი და პოლიტიკური მდივნები და ხაზინადარი ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 6.8. გამგეობის გადაწყვეტილება ძალაში შედის პარტიის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.
- 6.9. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და თავისი ხელმოწერით არ ადასტურებს პარტიის თავმჯდომარე, მოცემულ საკითხს განმეორებით განიხილავს გამგეობის სრული შემადგენლობა, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა აღსასრულებლად.
- 6.10. გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:
 - 6.10.1. პარტიის სტრუქტურის დამტკიცება წინამდებარე წესდების შესაბამისად;
 - 6.10.2. პარტიის საწევრო შენატანის ოდენობის განსაზღვრა;
 - 6.10.3. ყრილობის დელეგატთა არჩევის და პარტიის რეგიონალური და რაიონული კონფერენციების ჩატარების წესის მიღება;
 - 6.10.4. პარტიაში შემავალი ქვედანაყოფების შიდა სტრუქტურის, შინაგანაწესის, საშტატო განრიგის, შრომის ანაზღაურების ოდენობის წესის დამტკიცება;
 - 6.10.5. პარტიის რეგიონალური, საქალაქო, რაიონული/მუნიციპალური ორგანიზაციების შექმნის, რეორგანიზაციის ან / და გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
 - 6.10.6. საქართველოს წარმომადგენლობით ორგანოებში ასარჩევად პარტიის კანდიდატთა შერჩევის წესის მიღება და წარსადგენი კანდიდატურების დამტკიცება;
 - 6.10.7. პარტიის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი დოკუმენტების (პროგრამის და სხვ.) დამტკიცება;
 - 6.10.8. პოლიტიკური განცხადებებისა და მიმართვების შემუშავება და დამტკიცება;
 - 6.10.9. პარტიის გენერალური, აღმასრულებელი, საგარეო და პოლიტიკური მდივნების და ხაზინადარის ანგარიშების მოსმენა გაწეული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

- 6.10.10. პარტიის წევრთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
 - 6.10.11. პარტიის რიგგარეშე ყრილობის მოწვევა;
 - 6.10.12. თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა გადაწყვეტილებების მიღება.
- 6.11. გამგეობა ანგარიშვალდებულია პარტიის ყრილობის წინაშე.

თავი VII - პარტიის თანამდებობის პირები

- 7.1. პარტიის თანამდებობის პირებია: პარტიის თავმჯდომარე, პარტიის გენერალური, აღმასრულებელი, საგარეო და პოლიტიკური მდივნები და ხაზინადარი.
- 7.2. პარტიის თავმჯდომარე პარტიის უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც მოქმედებს პარტიის წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.3. **პარტიის თავმჯდომარე:**
 - 7.3.1. არის პარტიის ლიდერი;
 - 7.3.2. ხელმძღვანელობს და წარმოადგენს პარტიას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;
 - 7.3.3. პარტიის სახელით აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებსა და მიმართვებს;
 - 7.3.4. იწვევს პარტიის ყრილობას;
 - 7.3.5. ყრილობებს შორის პერიოდში ასარჩევად ასახელებს გამგეობის წევრის კანდიდატურას;
 - 7.3.6. ხელს აწერს პარტიის ყრილობის და გამგეობის გადაწყვეტილებებს;
 - 7.3.7. იწვევს პარტიის გამგეობის სხდომას და ხელმძღვანელობს მას;
 - 7.3.8. პარტიის გამგეობას, გამგეობის შემადგენლობიდან წარუდგენს პარტიის გენერალური, პოლიტიკური, აღმასრულებელი და საგარეო მდივნების და ხაზინადარის კანდიდატურებს;
 - 7.3.9. პარტიის სახელით ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტაციას;
 - 7.3.10. გამოსცემს ბრძანებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
 - 7.3.11. ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
 - 7.3.12. მისი არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, განსაზღვრავს მისი ფუნქციების დროებით შემსრულებელს.
- 7.4. პარტიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება გადადგომის, ყრილობის მიერ მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან გარდაცვალების შემთხვევაში. გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში, გამგეობა ორი კვირის ვადაში აცხადებს პარტიის ყრილობის თარიღს და ორი თვის ვადაში, იწვევს პარტიის ყრილობას, რომელიც ირჩევს პარტიის ახალ თავმჯდომარეს. პარტიის გამგეობის მიერ მოწვეული ყრილობის ჩატარებამდე და პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევამდე პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს პარტიის გენერალური მდივანი.
- 7.5. **პარტიის გენერალური მდივანი:**
 - 7.5.1. პარტიის თავმჯდომარის დავალებით წარმოადგენს პარტიას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;
 - 7.5.2. უზრუნველყოფს ყრილობის, პარტიის თავმჯდომარისა და პარტიის გამგეობის გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს;
 - 7.5.3. შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას პარტიაში შემავალი ქვედანაყოფების შიდა სტრუქტურას, შინაგანაწესს, სამტატო განრიგს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პარტიის რეგიონალური და რაიონული კონფერენციების ჩატარების წესს;
 - 7.5.4. კოორდინაციას უწევს პარტიის სამდივნოს საქმიანობას;

- 7.5.5. უფლებამოსილია წერილობითი თხოვნით მიმართოს პარტიის თავმჯდომარეს გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით;
 - 7.5.6. ექვემდებარება ერთხელ პარტიის გამგეობას წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ, ხოლო გამგეობის მოთხოვნის შემთხვევაში - მოთხოვნიდან არაუგვიანეს ორი კვირისა;
 - 7.5.7. პარტიის თავმჯდომარის თანხმობით მიმართავს სარევიზიო კომისიას საფინანსო-საბუღალტრო რევიზიის ჩატარების მიზნით;
 - 7.5.8. უფლებამოსილია პარტიის გამგეობას წარუდგინოს წინადადებები პარტიის დარგობრივი კომისიების, სხვა სპეციალური საბჭოების შექმნის ან/და გაუქმების თაობაზე და კურირებს მათ საქმიანობას.
 - 7.5.9. ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 7.6. პარტიის პოლიტიკური მდივანი:**
- 7.6.1. პარტიის თავმჯდომარის დავალებით წარმოადგენს პარტიას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;
 - 7.6.2. პასუხისმგებელია პარტიის იდეოლოგიური დოკუმენტების მომზადებაზე;
 - 7.6.3. უზრუნველყოფს პარტიის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი დოკუმენტების პროექტების მომზადებას;
 - 7.6.4. პასუხისმგებელია არჩევნებისათვის საპროგრამო დოკუმენტების პროექტების მომზადებაზე;
 - 7.6.5. ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 7.7. პარტიის აღმასრულებელი მდივანი:**
- 7.7.1. პარტიის თავმჯდომარის დავალებით წარმოადგენს პარტიას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;
 - 7.7.2. უფლებამოსილია პარტიის გამგეობას წარუდგინოს წინადადებები პარტიის რეგიონალური, საქალაქო, რაიონული/მუნიციპალური ორგანიზაციების შექმნის, რეორგანიზაციის ან/და გაუქმების თაობაზე;
 - 7.7.3. კოორდინაციას უწევს რეგიონალური, საქალაქო, რაიონული/მუნიციპალური ორგანიზაციების საქმიანობას;
 - 7.7.4. კოორდინაციას უწევს პარტიული სტრუქტურების განვითარების პროგრამებს;
 - 7.7.5. ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 7.8. პარტიის საგარეო მდივანი:**
- 7.8.1. კოორდინაციას უწევს პარტიის საგარეო ურთიერთობებს;
 - 7.8.2. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს პარტიას საერთაშორისო ურთიერთობებში;
 - 7.8.3. პასუხისმგებელია საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან ურთიერთობებზე;
 - 7.8.4. უზრუნველყოფს პარტიის ურთიერთობას ევროპულ და მსოფლიო პარტიულ გაერთიანებებთან;
 - 7.8.5. ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 7.9. პარტიის ხაზინადარი:**
- 7.9.1. პარტიის თავმჯდომარის დავალებით წარმოადგენს პარტიას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;

- 7.9.2. პარტიის თავმჯდომარის თანხმობით უზრუნველყოფს პარტიის აქტივების მიზნობრივ განკარგვას;
 - 7.9.3. პარტიის თავმჯდომარის თანხმობით დებს გარიგებებს პარტიის სახელით;
 - 7.9.4. პასუხისმგებელია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებებით პარტიისათვის შემოწირულობების და შემოსავლების მოზიდვაზე;
 - 7.9.5. ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 7.10. პარტიის გენერალური, პოლიტიკური, აღმასრულებელი და საგარეო მდივნებს და ხაზინადარს უფლებამოსილება შეუწყდებათ გადადგომის, გადაყენების ან გარდაცვალებისას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა თავისი შემადგენლობიდან, თავმჯდომარის წარდგინებით, ორი კვირის ვადაში ირჩევს პარტიის ახალ შესაბამის მდივანს და ხაზინადარს.

თავი VIII - პარტიის სამდივნო

- 8.1. პარტიის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით იქმნება პარტიის სამდივნო.
- 8.2. პარტიის სამდივნოს შემადგენლობაში შედიან პარტიის თავმჯდომარე, გენერალური, პოლიტიკური, აღმასრულებელი და საგარეო მდივნები და ხაზინადარი.
- 8.3. სამდივნოს წევრებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უძღვებიან პარტიის აღმასრულებელი საქმიანობის მიმართულებებს.
- 8.4. პარტიის სამდივნო შეიმუშავებს პარტიის საქმიანობის სამოქმედო გეგმას, ხოლო საარჩევნო პერიოდში არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესაბამის გეგმას.
- 8.5. კოორდინაციას უწევს პარტიის ადმინისტრაციული სტრუქტურის საქმიანობას.
- 8.6. ახორციელებს წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 8.7. პარტიის სამდივნოს ხელმძღვანელობს პარტიის თავმჯდომარე.
- 8.8. პარტიის სამდივნოს სხდომები ტარდება არანაკლებ კვირაში ერთხელ.

თავი IX - სარევიზიო კომისია

- 9.1. სარევიზიო კომისია წარმოადგენს პარტიის მაკონტროლებელ ორგანოს არანაკლებ 3 (სამი) წევრის შემადგენლობით, რომელთაც ირჩევს ყრილობა 4 (ოთხი) წლის ვადით.
- 9.2. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს თავად კომისიის შემადგენლობა ხმათა უმრავლესობით.
- 9.3. სარევიზიო კომისია საქმიანობას წარმართავს წინამდებარე წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 9.4. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია:
 - 9.4.1. აკონტროლოს პარტიის საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობა და განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის რევიზია;
 - 9.4.2. აკონტროლოს და უზრუნველყოს პარტიაში შემავალი ქვედანაყოფების დებულებისა და პარტიის შინაგანაწესის შესრულება;
- 9.5. სარევიზიო კომისია თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშებსა და რეკომენდაციებს წარუდგენს პარტიის ყრილობას.
- 9.6. სარევიზიო კომისიის სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
- 9.7. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე:

- 9.7.1. ხელმძღვანელობს სარევიზიო კომისიას;
 - 9.7.2. იწვევს და ხელმძღვანელობს სარევიზიო კომისიის სხდომებს;
 - 9.7.3. განსაზღვრავს სარევიზიო კომისიის მუშაობის წესს და ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის;
 - 9.7.4. საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს პარტიის გამგეობას სარევიზიო კომისიის საქმიანობისათვის აუცილებელი სახსრების გამოყოფის მოთხოვნით;
 - 9.7.5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს შესაბამის დასკვნებს, რომელთაც წარუდგენს პარტიის გამგეობას;
 - 9.7.6. ახორციელებს წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 9.8. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება გადადგომის ან გარდაცვალებისას. ასეთ შემთხვევაში, სარევიზიო კომისია საკუთარი შემადგენლობიდან, ორი კვირის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს.

თავი X - პარტიის პოლიტიკური საბჭო

- 10.1. პარტიის სათათბირო ორგანოა პარტიის პოლიტიკური საბჭო, რომელიც იქმნება რეგიონალური და თემატური მიმართულებების შესაბამისად. მიმართულების მიხედვით პოლიტიკური საბჭოს წევრები არიან პარტიის საქალაქო, რეგიონალური, რაიონული/მუნიციპალური ორგანიზაციის ხელმძღვანელები. თემატური მიმართულების შესაბამისად, პოლიტიკურ საბჭოში წარმოდგენილი არიან პარტიის წევრები, რომლებიც მუშაობენ გარკვეული თემატური მიმართულებებით პარტიის ხედვის, კონცეფციის, პროგრამული დოკუმენტის ჩამოყალიბების, განხილვისა და პოპულარიზაციის მიზნით.
- 10.2. პოლიტიკური საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას უწევს პარტიის გენერალური მდივანი.
- 10.3. პოლიტიკური საბჭოს სხდომები, მოიწვევა პარტიის გენერალური მდივნის მიერ, საჭიროებიდან გამომდინარე პერიოდულობითა და წევრთა ჩართულობით.
- 10.4. საჭიროებიდან გამომდინარე, პარტიის გენერალური მდივნის წინადადებით, პოლიტიკური საბჭოს სხდომებს ესწრება პარტიის თავმჯდომარე, სამდივნოსა და გამგეობის სხვა წევრები.

თავი XI - ზოგადი და სპეციალური წარმომადგენლობა

- 11.1. პარტიის ზოგადი წარმომადგენლობის უფლებით სარგებლობს პარტიის თავმჯდომარე.
- 11.2. პარტიის სპეციალური წარმომადგენლობის უფლებით სარგებლობენ პარტიის გენერალური, პოლიტიკური, ადმასრულებელი, და საგარეო მდივნები და ხაზინადარი წინამდებარე წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებათა განხორციელებისას.

თავი XII - პარტიის ქონება და ფინანსები

- 12.1. პარტიის ქონება და ფინანსები იქმნება:
 - 12.1.1. საწევრო შენატანებით;
 - 12.1.2. შემოწირულობებით, რომლებიც ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
 - 12.1.3. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში;
 - 12.1.4. სხვა შემოსავლებით, რომელიც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით;

12.2. პარტიის ფულად სახსრებს და ქონებას საწესდებო მიზნების განსახორციელებლად ანკარგავს პარტიის გამგეობა.

თავი XIII - წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

- 13.1. პარტიის წესდების შეცვლა, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ყრილობის გადაწყვეტილებით.
- 13.2. წინამდებარე წესდების 13.1. პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე დელეგატთა 2/3-ის უმრავლესობით.

თავი XIV - პარტიის საქმიანობის შეწყვეტა

- 14.1. პარტიის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მისი რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის საფუძველზე.
- 14.2. პარტიის რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ყრილობა, დამსწრე დელეგატთა 3/4-ის უმრავლესობით.
- 14.3. პარტიის საქმიანობის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 14.4. პარტიის რეორგანიზაციის შემთხვევაში პარტიის ქონების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტიის ყრილობა. პარტიის ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შალვა შავგულიძე

მპგ „თავისუფალი დემოკრატები“-ის თავმჯდომარე